პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 36 (12548) | სამშაბათი 12 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის საგზამალაპო საჰაერო ფლოტის მუშაკებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიესალმებიან და ულოცავენ სამოქალაქო ავიაციისა და საავიაციო მრეწველობის მუშაკებს სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის 40 წლისთავს.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის საჰაერო ტრანსპორტი მიმოსვლის ხელმისაწვდომი და მოხერხებული საშუალება გახდა მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის. სამოქალაქო ავიაცია ფართოდაა გამოყენებული სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის, კავშირგაბმულობისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ინტერესებისათვის. მნიშვნელოვნად გაფართოვდა შინაგანი და საერთაშორისო საავიაციო ხაზების ქსელი.

საჰაერო ტრანსპორტის დაჩქარებული განვითარება შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ აეროფლოტი აღჭურვილია საუკეთესო სამამულო რეაქტიული და ტურბინგაბმული თვითმფრინავებით და ჰყავს კვალიფიციური მფრინავების, ინჟინრების, ტექნიკოსების, ავიაციის სხვა სპეციალისტებისა და მეთაურთა და ხელმძღვანელთა შემადგენლობის შესანიშნავი კორპუსი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ესესურვებენ სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშაკებს ახალ წარმატებებს საავიაციო ტექნიკის ათვისებაში, მგზავრთა კულტურულ-მომსახურების გაუმჯობესებაში და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი ღირსეულად შეასრულებენ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანას იმის შესახებ, რომ საავიაციო ტრანსპორტი გადაიქცეს მგზავრთა მასობრივი გადაყვანის ტრანსპორტად, რითაც ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ-ლენინური ერთიანობისათვის, სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისათვის

ჩვენს ეპოქაში, როცა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა უაღრესად გავლენიანი პოლიტიკური ძალა გახდა, როცა დაისახა იმის განსაკუთრებით ხელსაყრელი შესაძლებლობანი, რომ თანამედროვეობის ძირეული პრობლემები ხალხთა ინტერესებისათვის გადაიჭრას, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, საჭიროა კომუნისტური პარტიების ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების შეკავშირება.

საერთაშორისო პროლეტარიატის დიდი მასწავლებლები მარქსი, ენგელსი, ლენინი არაერთხელ აღნიშნავდნენ საზგასმით, რომ სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარიატის ეკონომიური მდგომარეობა, ის, რომ მას ჰყავს საერთო კლასობრივი მტერი — ბურჟუაზია, აქვს ყველა ერის მუშათა კლასისათვის ერთიანი მიზნები — ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის, — ყოველივე ეს მუშებს ავალებს დაამყარონ ძმური კავშირი. იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს, სადაც წარმოების საშუალებანი ბურჟუაზიასა და მემამულეებს ეკუთვნით, პროლეტარიატი იძულებულია გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა, განიცდის უსაზღვრო ექსპლოატაციას. ამ მხრივ მუშათა კლასის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა ერთნაირია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ბახურჩევლად ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა, ენისა და ტანის ფერისა, ყველა ქვეყნის მუშები ერთიანი არიან როგორც კლასობრივი ძმები. კაპიტალიზმის პირობებში ადამიანები უწინარეს ყოვლისა, იყოფიან ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად. კაპიტალი საერთაშორისო ძალაა. ამიტომ პროლეტარიატის, ყველა მშრომელის, დედამიწის ყველა ჩაგრული ხალხის განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ მათი ერთიანობის საფუძველზე და უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის ძმური შეკავშირების საფუძველზე.

იმპერიალიზმი ცდილობს მოწამლოს მუშათა, ყველა მშრომელთა შეგნება ნაციონალიზმისა და შოვინიზმის შხამით, ერთმანეთს დაუპირისპიროს და შეაჯახოს ხალხები. მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იმპერიალიზმი აბამდა ხალხებს მსოფლიოს გადანაწილებისათვის ომებში, რასაც სიცოცხლით ზღავდნენ მშრომელი ადამიანები, ომებში, რომლებიც იწვევდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის ჩაგრისა და ექსპლოატაციის გაძლიერებას.

კაპიტალიზმის კაცთმოძულეობის პოლიტიკას მთელი მსოფლიოს მუშები უპირისპირებენ თავიანთ კლასობრივ სოლიდარობას. ეს ინტერნაციონალური სოლიდარობა გამოხატულია მარქსისა და ენგელსის მიერ წამოყენებული შთამაგონებელი საპროგრამო ლოზუნგით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ ლოზუნგით მიდიოდნენ ძველი სამყაროს საიერიშოდ პარიზის კომუნის გმირები. ეს ლოზუნგი შთააგონებდა რუსეთის გმირ მუშათა კლასს, რომელმაც 1917 წლის ოქტომბერში განახორციელა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუცია, რითაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ეს ლოზუნგი აერთიანებდა სოციალისტური რევოლუციების განხორციელებისათვის მებრძოლებს ჩინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ევროპისა და აზიის სხვა ქვეყნებში.

ჩვენს დროში, როცა ბევრი ქვეყნის მუშათა კლასმა ხელთ აიღო ძალაუფლება და მიაღწია ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებას, როცა წარმოიშვა და ვითარდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა, პროლეტარული ერთიანობის ლოზუნგი ხორცს ისხამს სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობის პრაქტიკაში. პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ახლა აკავშირებს მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანას, მთელი დედამიწის კომუნისტებს მათი საერთო ბრძოლაში მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული თავისუფლების, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები სულ უფრო ფართოდ განხორციელდება ხალხთა შორის ურთიერთობის პრაქტიკაში იმის კვალობაზე, თუ როგორ მოიშორებენ სულ ახალი და ახალი ქვეყნები კაპიტალიზმის ბორკილებს და როგორ დაადგებიან სოციალიზმის გზას.

კომუნისტურ მოძრაობას წარსულში არასოდეს არ ჰქონია მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე ზემოქმედების ისეთი შესაძლებლობანი, როგორც ჩვენს დღეებში. წარსულში არასოდეს არ დაკისრებია მას ისეთი ისტორიული პასუხისმგებლობა ყველა ქვეყნის ხალხთა წინაშე, როგორც ჩვენს დღეებში. კომუნიზმი პრაქტიკა გახდა, დედამიწის მრავალი ასეული მილიონი ადამიანის ცოცხალი საქმე გახდა. კომუნისტებს სახელმწიფო ხელისუფლების საჭე უპყრიათ სოციალისტუ სახელმწიფოთა დიდ ჯგუფში, რომლებზეც მოდის დედამიწის მოსახლეობის მესამედზე მეტი.

ПРАВДА

ჩვენს დროში ხალხები კომუნიზმზე მსჯელობენ არა მარტო მისი საპროგრამო ლოზუნგებისა და იდეალების მიხედვით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა სიკეთე მოაქვს მას საზოგადოებისათვის, ადამიანისათვის. სოციალიზმის ქვეყნების სამეურნეო წარმატებანი, ამ ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესება იმათ მიაჩნიათ კაპიტალიზმთან შედარებით სოციალიზმის უპირატესობათა თვალსაჩინო განსახიერებად. სოციალიზმის ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა ხალხებს მიაჩნიათ ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობის დაბადებად და განვითარებად, ურთიერთობისა, რომელიც შეუთავსებელია იმ მტრობასა და სიძულვილთან, ნაციონალიზმსა და შოვინიზმთან, რომლებიც კაპიტალიზმმა წარმოშვა.

მთელი კაცობრიობა იმედით შეჰყურებს საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს, როგორც ძალას, რომელსაც უნარი შესწევს თავიდან აიცილოს ახალნდელ და მომავალ თაობებს მსოფლიო თერმოატომური ომის კატასტროფა. მილიონობით ადამიანის გონებაში სულ უფრო მჭიდროდ ერწყმის ერთმანეთს ცნებები „სოციალიზმი“ და „მშვიდობა“. მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა ხალხთა ერთგული მოკავშირეა მათს ბრძოლაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა თავისი განვითარების ისეთ ეტაპაში შევიდა, როცა სოციალიზმის ქვეყნებს შორის ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული თანამშრომლობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის. ეს ნაკარნახევია თვითეული ქვეყნის მომწიფებული ეკონომიური მოთხოვნილებებით და შეესაბამება მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ რაც შეიძლება მოკლე ისტორიულ ვადაში მოვიგოთ ეკონომიური შეჯიბრება კაპიტალიზმთან მსოფლიო მასშტაბით, რაც უფრო მტკიცე იქნება სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა, რაც უფრო მჭიდროდ გაერთიანდება მათი ღონისძიებანი ეკონომიკის განვითარებაში, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, რაც უფრო მტკიცე იქნება მათი პოლიტიკური თანამშრომლობა, მით უფრო თვალნათლივ ცხადყოფს სოციალიზმი თავის უპირატესობას კაპიტალიზმთან შედარებით, მით უფრო ქმედითი იქნება სოციალისტური ქვეყნების გავლენა მსოფლიო განვითარებაზე, მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაზე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მათი ხელმძღვანელობის უდიდეს პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ თანმიმდევრულად განახორციელონ ინტერნაციონალისტური პოლიტიკა — მთელი პროგრესული, ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებისა და ერთიანობის პოლიტიკა, იმისათვის, რომ ყოველი მათი ნაბიჯი ხელს უწყობდეს ხალხთა შორის ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობის განმტკიცებას. ამ ისტორიული პასუხისმგებლობის შეგნება უნდა იყოს სახელმძღვანელო, განმსაზღვრელი საწყისი კომუნისტურ მოძრაობაში წარმოქმნილ უთანხმოებათა გადაჭრის დროსაც, რათა კომუნისტების მთელი პრაქტიკული მოქმედება მიზნად ისახავდეს მისი ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას. იყონ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგულნი — ეს თვითეული ქვეყნის კომუნისტებისათვის იმას ნიშნავს, რომ მხარდამხარ მიჰყვებოდნენ მთელ კომუნისტურ მოძრაობას, მუდამ იყონ მის საერთო რიგებში, ყოველთვის ახსოვდეთ, რომ პროლეტარიატისა და მისი კომუნისტური ავანგარდის ძალაა შეკავშირება, და არა გათიშვა.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების აუცილებლობა ნაკარნახევია მთელი თანამედროვე საერთაშორისო ვითარებით, იმ გამალებული ღონისძიებებით, რომლებსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ახორციელებენ თავიანთი ძალების გაერთიანებისათვის სოციალიზმის ქვეყნების, მსოფლიო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თანამედროვე პირობებში კაპიტალიზმის ბანაკში დიდი ძალით ამოქმედდა ტენდენცია, რომელსაც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ტენდენცია სახელმწიფოებრივ-განკერძოებული ფინანსური კაპიტალების გაერთიანებისა ინტერნაციონალურ-გაერთიანებულ ფინანსურ კაპიტალად, ტენდენცია იმპერიალისტთა კავშირის შექმნისა კაპიტალის დასაცავად. ეს ტენდენცია პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს კაპიტალისტური „ინტეგრაციის“ პროცესების გაძლიერებით, იმ ცდებით, რომ გააქტიურონ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების სისტემა.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის აგრესიულ წრეებს ხელი არ აუღიათ გიჟური გეგმებზე — „უკუაგდონ“ კომუნიზმი, კერძოდ, ომის გზითაც. მათ ხელი არ აუღიათ ავრეთვე იქ ცდებზე, რომ იმპერიალისტური „ძალის პოლიტიკის“ დახმარებით შეაჩერონ ხალხთა განთავისუფლების, კაპიტალისტური ექსპლოატაციის წყობილების ლიკვიდაციის ისტორიულად კანონზომიერი პროცესი. საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტურ გაერთიანებათა შექმნით, აგრესიული სამხედრო ბლოკების აქტივიზაციით, მსოფლიო სოციალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით იმპერიალიზმი ცდილობს დაძლიოს ან მიჩქმალოს მაინც თავისი შინაგანი წინააღმდეგობანი.

მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში იმპერიალიზმის ბანაკი განსაკუთრებულ იმედს ამყარებს უთანხმოებათა გამწვავებაზე საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, მსოფლიო სოციალისტური სისტემის გათიშვაზე. იმპერიალისტური რეაქცია ყოველნაირად ცდილობს წარმოშვას განხეთქილება კომუნისტურ პარტიებს შორის. კომუნისტებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაიივიწყონ ეს. მარქსისტ-ლენინელები, ყველა ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი იმპერიალისტური რეაქციის ზრახვებს მუდამ უპირისპირებენ მისწრაფებას თავიანთი რიგების ერთიანობისადმი, მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის ბრძოლის მთელი ფრონტის განმტკიცებისადმი.

„იმ პირობებში, როცა იმპერიალისტური რეაქცია აერთიანებს თავის ძალებს კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, განსაკუთრებით საჭიროა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყოველი ღონისძიებით შეკავშირება, —

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ღირსეული ჯილდო

სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებით და მისი მიღწევების აღსანიშნავად საავიაციო ტექნიკის ათვისებასა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მომსახურეობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 9 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტი დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო როი ტომსონი

9 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო დიდი ბრიტანეთისა და კანადის საგაზეთო გაერთიანება „ტომსონ ნიუსპეიპერს ლიმიტედის“ თავმჯდომარე როი ტომსონი და მისი თანმხლები უფროსლისტები.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და რ. ტომსონს შორის გაიმართა გულახდილი საუბარი, რომლის დროსაც ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა რ. ტომსონისათვის საინტერესო საკითხებზე, რომლებიც ეხება საერთაშორისო თანამედროვე მდგომარეობას, საბჭოთა კავშირ-ინგლისის ვაჭრობასა და სხვა პრობლემებს.

საუბარს დაესწრნენ გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი.

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალედ და გულითადად მიულოცა ზაპოროჟიეს ფოლადის ქარხნის მეფოლადეებს მიხეილ კინებასს, პაველ კიიკოს, ვლადიმერ სტანსა და ალექსანდრე ლობოდას 220 ტონა ტეკადობის მარტენის ღუმელში ფოლადის გამოდნობის მსოფლიო რეკორდის მიღწევა.

თქვენი ბრიგადების მუშაობის მაგალითი ცხადყოფს, ნათქვამია მისალმებაში, თუ კიდევ რა დიდი შესაძლებლობანი აქვთ ჩვენს მეფოლადეებს, რათა გაადიდონ ფოლადის გამოდნობა მოქმედი აგრეგატებით.

ნ. ს. ხრუშჩოვი მეფოლადეებს უსურვებს შემდგომ შრომითს წარმატებებს წლიური გეგმის ვადამდე შესრულებაში, ჩვენი დიადი სამშობლოს სიმდიდრეთა გამრავლებაში.

სპარტაკიადისათვის მზადება — ეურადღების ცენტრში

ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდობა და სპორტსმენები მიმდინარე წლის უდიდეს სპორტული მოვლენის ზღურბლზე დგანან. აგვისტოში გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებანი. სპარტაკიადა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობისა და მისი არნახული გაქანების მკაფიო დემონსტრაცია იქნება. იგი იქნება საბჭოთა სპორტსმენების მზადყოფნის დათვალიერება ტოკიოს XVIII ოლიმპიური ასპარეზობისათვის.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს საქმიანი მზადება საბჭოთა სპორტის დღესასწაულისათვის. სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის ეზადებიან საქართველოს სპორტსმენებიც. აგვისტომდე სულ რამდენიმე თვე დარჩა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, უნდა გამოსწორდეს ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, გამოყენებულ იქნეს ყველა რეზერვი, სპორტის სხვადასხვა სახეობაში სრულფასოვანი ნაკრები გუნდების ჩამოყალიბებისათვის.

ამ საკითხს მიეძღვნა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრება, მოწვეული პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელების მონაწილეობით. კრება გაიმართა 11 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, დ. ს. ზემლიანსკი, ვ. პ. მეფავანაძე, დ. გ. სტურუა, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია,** სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ი. დ. მაშინი,** რესპუბლიკის მინისტრები, პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, გამოჩენილი სპორტსმენები.

მოხსენება — „საქართველოს სსრ სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ **გ. სიხარულიძემ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა **თ. ლაშქარაშვილმა,** ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონმა **ნ. გაფრინდაშვილმა,** სამხრეთ ოსეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. კოკოევმა,** საქართველოს სსრ ფარიკაობის ფედერაციის თავმჯდომარემ **ა. მეიფარიანმა,** საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგემ **ი. ჩიჩიკაძემ,** თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელმა **ნ. გვახარიამ,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ს. ფხაკაძემ,** ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. ულეტმა,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. მელაძემ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. ჭახრაკიამ,** ქ. ზუგდიდის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ **კ. ხორავამ,** საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ჩერქეზიამ,** XVII ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონმა **რ. შავლაყადემ.**

კრებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ი. მაშინი.**

ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის რესპუბლიკური კრების მონაწილეებმა მიიღეს მომართვა რესპუბლიკის ყველა სპორტსმენისა და ფიზკულტურის მუშაკისადმი. (საქდესი).

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი დიდი სამშობლო მძლავრი ნაბიჯებით შევიდა შვიდწლედის მეხუთე წელიწადში. საბჭოთა ადამიანები თავიანთი გმირული შრომით ახარებენ სკკპ XXII ყრილობის და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა უკვე მიმდინარე წელს მკვეთრად გავადიდოთ ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, მარცვლეულის, ხორცის, რძის წარმოება. თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მოვალეობაა მთელი ძალღონე მოახმაროს ამ ამოცანის განხორციელებას.

ეს კეთილშობილური მისწრაფება მკაფიოდ არის გამოხატული კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წერილში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი — „გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება 1963 წელს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის“. უყბანელმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს 1963 წელს მნიშვნელოვნად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოება და სახელმწიფოსათვის მიეყიდვა, რისთვისაც დაიწყეს ლაშქრობა მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის.

უყბანელთა ამ პატრიოტულ თაოსნობას ვიწონებთ და ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ჩვენ, ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მეჩაიეები, მებაღეები, მეციტრუსეები, მესიმინდეები, მეცხოველეობის დარგის მუშაკები. ავწონ-დავწონეთ რა ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი, ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომ თავდადებული შრომის შედეგად მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დავამთავროთ შვიდწლედის მეხუთე წელი.

ჩაი ჩვენი სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია. ჩვენში ცოტა როდია ჩაის მეურნეობა, რომლებმაც დიდი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“ ჩაის ჰექტარობრივმა მოსავალმა 5,5 ტონას გადაამტა. კარგი მოსავალი მიიღეს ჩაის სხულუხიას, კახათის მარქსის, ჯვარის გეგეჭკორის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა, ინგირის საცდელი ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებმა, ჩვენს რესპუბლიკაში ცნობილი ნოვატორების თამარ ყუფუნიას, სოფიო შონიას, ქსენია კეკვალიშვილის, ნორა პაკელიანის, სულიკო სამუშიას, ვინარი სხულუხიას, თინა გოგიას და სხვათა მაგალითზე აღიზარდნენ ასობით შუქურები, რომლებმაც ჩაის მოსავალი ჰექტარზე 12-15 ტონამდე გაადიდეს.

ღარმაფებით ავიღოთ 1963 ღლის გღუდეები!

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მიმართვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი

მაგრამ მათ გვერდით არიან ისეთი მეურნეობები და მკრეფავები, რომლებიც მცირე მოსავალს იღებენ.

ჩვენი ამოცანაა ავამაღლოთ ჩაის მოსავლიანობა არა მარტო ცალკეულ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ჯრამედ სამმართველოს ყველა მეურნეობაში.

ჩვენი შესაძლებლობანი რომ დავაზუსტეთ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ მიმდინარე წელს ჩაის მოსავლიანობას ჰექტარზე გავადიდებთ 3.600 კილოგრამამდე და გეგმის გადამეტებით დავაშავებთ 3.800 ტონა ხარისხოვან ნედლეულს. სულ გეგმით გათვალისწინებული 33.200 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მივცემთ 37.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. აქედან მაისში მოკრეფთ მთელი ამ რაოდენობის 35 პროცენტს.

რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“ მოკრეფს 2.000 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს, ჰექტარზე მოიყვანს 6 ტონა ნედლეულს. წალენჯიხის კოლმეურნეობა გეგმის გადამეტებით მოკრეფს 150 ტონას, კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა — 250 ტონას, ონარიის საბჭოთა მეურნეობა — 200 ტონა ჩაის ფოთოლს.

ინგირის საცდელი ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის კოლექტივი კისრულობს მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩაბაროს 2.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ჰექტარის მოსავალი გაზარდოს 4.550 კილოგრამამდე.

ჩაის საკრეფი მანქანებით მოკრეფილი იქნება 950 ტონა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ერთი ტონა ჩაის ნედლეულის თვითღირებულებას.

მომდინარე წელს პირველად ფართოდ მოვაწყობთ ჩაის ფოთლის მექანიზებულ კრეფას და მანქანებით მოსავალს ავიღებთ 500 ჰექტარზე.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაგვეხმარება მოწინავე აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება, ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესება, მწკრივთაშორისების დროული კულტივაცია, მინერალური და ორგანული სასუქების სრული დოზით შეტანა, ჩაის ფოთლის კრეფის წესების ზუსტად დაცვა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოვაწყობთ რწყვას; სამექანიზაციოდ მოვანზადებთ 2.000 ჰექტარ ფართობს; კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შუქურების გამოცდილების ფართოდ დანერგვის მიზნით შეექმნით მოწინავე მეჩაიეთა სკოლებს; ბრძოლას გამოვუცხადებთ სიმეჩხეროს — გამოვრგავთ 100 ჰექტარს, ხოლო ახალ პლანტაციებს გავაშენებთ 510 ჰექტარზე.

დიდი რეზერვები გვაქვს სიმინდის — ამ ძვირფასი სასურსათო და საკვები კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ყველა კოლმეურნეობაში დავთესავთ სიმინდის კონდიციურ თესლს. თესვას ვაწარმოებთ შემჭიდროებულ ვადებში; მექანიზაციის მაქსიმალური დანერგვით, ნასვენი და უამინო მიწების ათვისებით მივაღწევთ ძირეულ გარდატეხას მარცვლეულის მეურნეობაში. წელს სიმინდს დავთესავთ 15.550 ჰექტარზე, აქედან სამარცვლედ — 12.160 ჰექტარს. 5.500 ჰექტარ ნათესში მოვიწევთ საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერ., 6.660 ჰექტარ ნათესში კი ჰექტარზე 20 ცენტნერ მარცვალს. პირნათლად შეავასრულებთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალებას.

სიმინდის უხვი მოსავლის სახელგანთქმული ოსტატის კონსტანტინე სანდუხაძის ბრიგადა გაპირავნებულ 40 ჰექტარ ნათესში საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანს 100 ცენტნერ სიმინდის მარცვალს, ხოლო შუახორგელი კოსტა ჯოჯუა 20 ჰექტარ ნათესში — ჰექტარზე 70 ცენტნერს. ასეთსავე ვალდებულებებს კისრულობენ მესიმინდეები შ. მაქაცარია, ვ. ჭიჭალუა, ნ. სამუშია, ე. ბელქანია, დ. ლოგუა და სხვები.

ყოველ ღონეს ვიხმართ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მათი თვითღირებულების გაიაფებისათვის. წელს ავიღებთ ხორცის წარმოების პირველ მიჯნას, — ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე მივიღებთ 75 ცენტნერ ხორცს, ხოლო ყოველ 100 ჰექტარ დანარჩენ სავარგულზე — 16 ცენტნერ ხორცს. შარშანდელთან შედარებით რძის წარმოებას გავადიდებთ ორჯერ და ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე ავიყვანთ 150 ცენტნერამდე.

100 ჰექტარ დანარჩენ სავარგულზე — 16 ცენტნერ ხორცს. შარშანდელთან შედარებით რძის წარმოებას გავადიდებთ ორჯერ და ყოველ 100 ჰექტარ სავარგულზე ავიყვანთ 150 ცენტნერამდე.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მეაბრეშუმეობას. პარკის დამზადების გასული წლის დავალება ძირითადად პირველი გამოკვეთით შეავასრულეთ. ახლა, შვიდწლედის მეხუთე წელს, ჩვენი მეაბრეშუმეები სახელმწიფოს ჩააბარებენ 550 ტონა პარკს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 544 ტონისა.

გადაჭარბებით შეავასრულებთ სახელმწიფოსათვის ხილის, ციტრუსოვანთა და ტუნგოს ნაყოფის მიყიდვის გეგმებს.

დაფნა — ეს კეთილშობილი კულტურა კვლავ ყურადღების ცენტრშია. დავამზადებთ 1.000 ტონა დაფნის ხმელ ფოთოლს და გეგმას 110 ტონით გადავაჭარბებთ.

ჩაის ფოთლის, მარცვლეულის, ხორცის, რძის, დაფნის ფოთლის, ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ რუხის, ჭკადუაშის, კახათის, ლიის, დაბა წალენჯიხის, საჯიჯოს კოლმეურნეობები, ინგირისა

კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ-ლენინური ერთიანობისათვის, სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ნათქვამია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის განცხადებაში, — ერთიანობა და შეკავშირება აათკეცებს ჩვენი მოძრაობის ძალებს და ქმნის კომუნიზმის დიადი საქმის ძლევამოსილი წინსვლისა და მტრის ყველა იერიშის მოგერიებაში წარმატების საიმედო გარანტიას". ერთიანობა თვითეული კომუნისტური პარტიისათვის წმიდათა-წმიდა მცნებაა.

ერთიანობა გამომდინარეობს კომუნისტური პარტიების, როგორც მუშათა კლასის ინტერესების გამომხატველი პარტიების თვით ბუნებიდან, მუშათა კლასისა, რომელიც სასიცოცხლოდ დაინტერესებულია თავისი ძალების გაერთიანებით. ეს გაერთიანება აუცილებელია იმისათვის, რომ პროლეტარიატმა გაიმარჯვოს როგორც ყოველ ქვეყანაში, ისე საერთაშორისო მასშტაბითაც. იმ ქვეყნების მუშათა საბრძოლო სოლიდარობა, რომლებიც უკვე პრაქტიკულად აშენებენ სოციალიზმს, მათი წარმატებითი წინსვლის აუცილებელი პირობაა; ამავე დროს ეს კარგი მაგალითია კაპიტალიზმის ქვეყნების მუშებისათვის, რომლებიც რევოლუციურ ბრძოლას ეწევიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიჰყვება დიდი ლენინის ანდერძს და ღირსეულად უჭირავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა. პარტია ზრდიდა და ზრდის ყველა საბჭოთა ადამიანს მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, — ნათქვამია პროგრამაში, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, — ისევე როგორც ყველა კომუნისტურ პარტიას, თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია ზუსტად დაიცვას მომმე პარტიების მიერ ერთობლივად შემუშავებული შეფასებები და დასკვნები, რომლებიც ეხება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საერთო ამოცანებს, და კომუნისტური პარტიების საერთაშორისო თათბირებზე მიღებულ დეკლარაციასა და განცხადებას".

სკკპ პროგრამის დებულებანი, ჩვენი პარტიის მთელი პრაქტიკული საქმიანობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებისათვის ლენინური ზრუნვის განსახიერებაა. პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობა მიიჩნიათ სოციალიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის შემადგენელ ნაწილად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური თანამეგობრობის — მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მთავარი მონაპოვრის — გაფმტკიცებას. საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს ლენინურ პრინციპებს და თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა სოციალისტური ქვეყნის შეკავშირების ხაზს. ეს პრინციპები, რომლებიც ასახავენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების გამოცდილებას, ფიქსირებულია კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში — მოსკოვის თათბირების დეკლარაციასა და განცხადებაში:

— სოციალიზმის ყველა ქვეყნის სრული თანასწორუფლებიანობა, მათი ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, ურთიერთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა;

— მჭიდრო ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპის საფუძველზე;

— სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული ურთიერთობის განუხრელი გაფართოება; მსოფლიო სოციალისტური სისტემის, შრომის სოციალისტური განაწილების უპირატესობათა სრული გამოყენება;

— თავიანთი ქვეყნების ხალხთა აღზრდა მარქსიზმ-ლენინიზმის, ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით;

— საერთაშორისო ასპარეზზე სოციალისტური ქვეყნების საერთო ხაზის გატარება იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში;

კომუნისტი

მე-2 გვერდი, სამშაბათი, 12 თებერვალი, 1963 წ.

— არდაშვება რაიმე მოქმედებისა, რომელსაც შეუძლია შეარყიოს სოციალიზმის ქვეყნების ერთიანობა.

სკკპ თანმიმდევრულად ახორციელებს ამ პრინციპებს. ვინც უწინაზრახვოდ აფასებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, მას არ შეუძლია არ აღიაროს, რომ ჩვენი პარტია თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობს იმ ხაზით, რომელიც განსაზღვრულია კომუნისტური და მუშათა პარტიების დეკლარაციასა და განცხადებაში.

ყველა სოციალისტური ქვეყნის მიერ ამ პრინციპების დაცვა, მათ შორის ძმური ურთიერთობა განვითარების, სოციალისტური ხალხების თანმიმდევრული დაახლოებისა და შეკავშირების საწინდარია, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერების სულ უფრო განმტკიცების საწინდარია.

სოციალიზმის ქვეყნები დიდად დაინტერესებული არიან ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ერთიანობის განმტკიცებით. ამ ერთიანობას საფუძვლად უდევს ისეთი ობიექტური ფაქტორები, როგორიც არის ერთი ტიპის სოციალურ-ეკონომიური წყობილება, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესების ერთობა, იდეოლოგიის ერთობა — მარქსიზმ-ლენინიზმი, ღრმა დაინტერესება სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებით, მიზნების ერთობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეჭვი არ არის, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობა თვითეულ ქვეყანაში, მათი ეკონომიური განვითარების დონეთა თანდათანობითი შეთანასწორება, ხალხთა შეგნებაში მარქსისტულ-ლენინური იდეების სულ უფრო ღრმად ჩანერგვა განამტკიცებს სოციალიზმის ქვეყნების ერთიანობის საფუძველს. კომუნისტურ და მუშათა პარტიებზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უფრო სრულად გამოიყენებენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის დამახასიათებელ კანონზომიერებებს სოციალისტური ქვეყნების განუხრელი კონსოლიდაციის ინტერესებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმი ეყრდნობა იმას, რომ სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლას საფუძვლად უდევს მთელი რიგი საერთო კანონზომიერებანი. 1957 წლის დეკლარაციაში აღნიშნულია: „სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა სისწორე მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებისა, რომ სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის პროცესებს საფუძვლად უდევს მთელი რიგი მთავარი კანონზომიერებანი, რომლებიც ახასიათებენ სოციალიზმის გზაზე დამდგარ ყველა ქვეყანას. ეს კანონზომიერებანი თავს იჩენენ ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების დიდი მრავალფეროვანების არსებობისას, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული".

ამასთან ერთად, მიუხედავად ერთიანობისა ძირეულ საკითხებში სოციალისტური ქვეყნების მომმე პარტიებს შორის, შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა მიდგომა პრობლემებისადმი, შეუთანხმებლობა და უთანხმოებანიც კი ამა თუ იმ საკითხზე. ჩვენ ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ასეთ მოვლენათა მიზეზები. ახლა სოციალისტური განვითარების გზას უკვე 14 ქვეყანა ადგას. თვითეულ ამ ქვეყანას აქვს თავისი ისტორიული, ეროვნული, გეოგრაფიული თავისებურებანი.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი. ამიტომ, აღნიშნავდა იგი, ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას, არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების ისეთ გამოყენებას, „რომელიც **სწორად შეუცვლიდა სახეს** ამ პრინციპებს **კერძო შემთხვევებში,** სწორად შეუხამებდა, შეუფარდებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს". (თხზ., ტ. 31, გვ. 98).

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ აგრეთვე, რომ სოციალიზმზე გადასვლა ჩვენმა ქვეყნებმა დაიწყეს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა დონიდან და ახლა ჯერ-ჯერობით კიდევ არიან სხვადასხვა ეტაპზე სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში. თვითეულ ქვეყანას აქვს თავისი კონკრეტული გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, სავსებით ერთნაირი როდია მათი პასუხისმგებლობა ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის. გამორიცხული არ არის, რომ ეს შეიძლება იყოს სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ საკითხთა სხვადასხვა გაგების, თანამედროვეობის ამა თუ იმ პრობლემებისადმი სხვადასხვა მიდგომის წყარო. გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვიყურებოდეთ წინ, ვითვალისწინებდეთ, რომ როცა სოციალიზმზე გადასვლის გზას ეადგება ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიის ათობით სხვა ხალხი — ისინი, უეჭველია, ბევრ თავისებურებას შეიტანენ სოციალიზმის მშენებლობის საკითხების გადაჭრაში. ამოცანა ის არის, რომ, მიუხედავად არსებული განსხვავებისა, უზრუნველყოთ ერთობა ძირეული საკითხებისადმი მიდგომაში, მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მომმე პარტიებთან ურთიერთობაში ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისათვის, რომ საქმით მიაღწიოს სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცებას, ითვალისწინებს თვითეული პარტიის პირობებსა და მდგომარეობას, ცდილობს გამონახოს წარმოქმნილ სიძნელეთა შეუთანხმებლობისა და უთანხმოებათა დაძლევის ყველაზე ქმედითი გზები.

ცნობილია, რომ უკანასკნელ დროს კომუნისტურ მოძრაობაში წარმოიშვა პოლემიკა თანამედროვე მსოფლიო განვითარების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან, პრინციპულ საკითხებზე. ჩვენი საერთო ბრძოლის ამა თუ იმ კონკრეტული საკითხებისადმი სხვადასხვა მიდგომის თვით ფაქტი არ გამოიწვევდა შეშფოთებას. აზრებისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ამხანაგური მსჯელობა სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივი მოვლენაა მარქსისტულ-ლენინური პარტიების პრაქტიკაში. მაგრამ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ცალკეული პარტიების წარმომადგენლები აზრთა ამხანაგური ურთიერთგაზიარების ნაცვლად დაადგენენ მარქსისტულ-ლენინური პარტიების მიერ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის კოლექტიურად შემუშავებულ ხაზზე თავდასხმათა გზას, რომლებიც ყოვლად შეუწყნარებელია მომმე პარტიებს შორის ურთიერთობაში. ამ ვითარებაში ღია პოლემიკის განგრძობას შეიძლებოდა გამოეწვია მხოლოდ არსებულ უთანხმოებათა გაღრმავება, რაც სერიოზულ ზიანს მიაყენებდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას.

გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიჩინა ინიციატივა, რომლის მიზანია მოწესრიგდეს წარმოშობილი უთანხმოებანი, განმტკიცდეს კომუნისტური მოძრაობის ინტერნაციონალური შეკავშირება. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა წინადადება — შეწყდეს პოლემიკა კომუნისტურ პარტიებს შორის სადავო საკითხებზე, რათა შეიქმნას ყველაზე ხელსაყრელი ვითარება კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის მოსაწყობად. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინადადებას, რომელიც შეესაბამება მთელი ჩვენი მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლის ინტერესებს.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ „ჟენმინ ჟიბაოში" გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობის გამო. ამ სტატიაში ნათქვამია: „ჩვენ მზად ვართ ყველა სხვა მომმე პარტიასთან ერთად გადავდგათ ყველა ნაბიჯი, რომლებიც ხელს შეუწყობენ ურთიერთობის გაუმჯობესებასა და შეკავშირების განმტკიცებას, რათა გაუმჯობესდეს ატმოსფერო და მომზადდეს საჭირო პირობები მომმე პარტიების თათბირის მოსაწვევად". ასეთ განცხადებას შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. სამწუხაროდ, ჩინელი ამხანაგების მოყვანილ სიტყვებს თან ახლავს უსაფუძვლო და მკვეთრი კრიტიკა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლებისა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე, მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების, სოციალისტურ ქვეყნებს შორის, კომუნისტურ პარტიებს შორის ურთიერთობის პრინციპებისა და პრაქტიკის ცალმხრივი განმარტება. სტატია შეიცავს უსაფუძვლო თავდასხმებს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირზე.

უნდა მივიჩნიოთ თუ არა ამ სტატიის გამოქვეყნება იმისადმი მისწრაფებად, რომ სინამდვილეში განგრძობილ იქნას პოლემიკა სხვა მომმე პარტიებთან? ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს ასე არ არის.

ჩვენი პარტია გულწრფელად ესწრაფვის იმას, რომ კომუნისტური მოძრაობა ჩათრეულ არ იქნას პოლემიკის ახალ ტურში, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მისი ერთიანობის ინტერესებს. ვხელმძღვანელობთ რა ამ მოსაზრებებით, გვინდა გავაშუქოთ ჩვენი პოზიცია ზოგიერთ პრინციპულ საკითხში და კვლავ მოვუწოდოთ ერთიანობის განმტკიცებისაკენ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე, რომელმაც მიიღო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების პროგრამა, მაღლა ასწიეს სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების დროშა, შეიტანეს ახალი წვლილი მთელი სოციალისტური სისტემის შემდგომ განმტკიცებაში. ყრილობა წარმოადგენს არა მარტო დიდმნიშვნელოვან ეტაპს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარებაში, არამედ დიდ მოვლენასაც საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში. როგორ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი ყრილობის ამ მთავარ, გადამწყვეტ შედეგს და საქმე ისე წარმოვსახოთ, თითქოს ყრილობაზე ყურადღების ცენტრში იდგა იუგოსლავიასთან ურთიერთობის საკითხი? როგორ შეიძლება საქმე ისე წარმოვსახოთ, თითქოს სიძნელეები, რომლებიც კომუნისტურ მოძრაობაში წარმოიშვა, იმის შედეგია, რომ მიმდინარეობს პროცესი იუგოსლავიის ურთიერთობის გაუმჯობესებისა სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დაახლოება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან?

იუგოსლავიასთან ურთიერთობის საკითხი სერიოზული, პრინციპული საკითხია. არსებითად საქმე ეხება ხაზს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს შორის ურთიერთობაში, ამ ქვეყნების ურთიერთობის პრინციპს. საქმე ეხება იმ პროცესთა ობიექტურ შეფასებას, რომლებიც წარმოებს ამა თუ იმ სოციალისტურ ქვეყანაში, იმას, თუ რა მიზნები აქვს მომმე პარტიების მიერ იმ შეცდომების გაკრიტიკებას, რომლებიც ჩადენილია გარკვეულ დროსა და გარკვეულ პირობებში, კომუნიზმის მთელი ძალების შეკავშირებისათვის ბრძოლის მეთოდებსა და ფორმებს. საჭიროა არა სუბიექტური, არამედ ნამდვილად მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა ამ საკითხისადმი.

როგორც ცნობილია, უთანხმოებანი იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას შორის წარმოიშვა 15 წლის წინათ. ჩვენმა პარტიამ ღრმა ანალიზი გაუკეთა უთანხმოებათა მიზეზებს და გულახდილად თქვა, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას შორის ურთიერთობის გაუარესებაში უმთავრესად ბრალი მიუძღვის სტალინს, რომელმაც დაუშვა უხეში თვითნებობა იუგოსლავიის მიმართ, სრულიად გაუმართლებელი შეფასება მისცა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ აღმოფხვრა პიროვნების კულტის შედეგები და გადაჭრით გამოასწორა სტალინის მიერ დაშვებული შეცდომები იუგოსლავიისა და კომუნისტთა კავშირის მიმართ. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აღნიშნავდა, რომ იუგოსლავ ამხანაგებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ასეთი ურთიერთობა დამყარდა ამ პერიოდში იუგოსლავიასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირსა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას შორის.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირს სერიოზული უთანხმოებანი ჰქონდა მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასთან მთელ რიგ იდეოლოგიურ საკითხებში. ეს კონცენტრირებულად აისახა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის **პროგრამაში.** ეს აღინიშნა მოსკოვის 1960 წლის თათბირის განცხადებაში, სადაც ხაზი გაესვა იმას, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობის რევიზიონისტულმა შეცდომებმა „შექმნა იმ რევოლუციურ მონაპოვართა დაკარგვის საფრთხე, რომლებიც გმირული ბრძოლით მოიპოვა იუგოსლავმა ხალხმა". ყოველი უწინაზრახვო ადამიანი, როცა ამ დებულებას კითხულობს, ხედავს, რომ თათბირი, პრინციპულად აკრიტიკებდა რა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამის მცდარ კონცეპციებს, ამავე დროს იუგოსლავიას თვლიდა სოციალისტურ ქვეყნად. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა მიზნად ისახავდა დახმარებოდა იუგოსლავიასა და მის ხელმძღვანელობას გამოესწორებინათ შეცდომები, დაბრუნებოდნენ მსოფლიო სოციალისტურ სისტემასთან, მომმე პარტიებთან ერთიანობის გზას.

სწორედ ასეთი მიდგომა უდევს საფუძვლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას იუგოსლავიასა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან ურთიერთობაში. აკრიტიკებდა რა იუგოსლავი ამხანაგების შეცდომებს, ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ XXI ყრილობაზე აღნიშნავდა: „ჩვენ უაღრესად მეგობრული გრძნობებით ვართ გამსჭვალული მომმე იუგოსლავიის ხალხებისადმი, იუგოსლავი კომუნისტებისადმი — არალეგალური და პარტიზანული ბრძოლის გმირებისადმი. საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში ჩვენ საერთო ენა გვაქვს. ჩვენ კვლავაც განვავითარებთ იუგოსლავიასთან ვაჭრობას ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე. ჩვენ კვლავაც ვეცდებით ვითანამშრომლოთ იუგოსლავიასთან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ბრძოლის საკითხებში, რომლებშიც ჩვენი პოზიციები ერთმანეთს დაემთხვევა.

ხოლო როგორი იქნება საქმის ვითარება პარტიული ხაზით? ყველაფერი დამოკიდებულია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირზე. მისი ხელმძღვანელები თვითონ გაემიჯნენ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას. ამიტომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირმა თვითონ უნდა მოახდინოს შემობრუნება კომუნისტურ პარტიებთან დასაახლოებლად მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, რაც თვით იუგოსლავი ხალხის ინტერესებსაც შეესაბამება".

აქედან ჩანს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხაზი იმას კი არ ისახავდა მიზნად, რომ იუგოსლავია მოეკვეთა სოციალიზმის ქვეყნებისაგან, რომ სამუდამოდ ჩამოეშორებინა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის, არამედ დახმარებოდა მას თავისი ადგილი დაეკავებინა ჩვენი მოძრაობის რიგებში. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა იუგოსლავიის მიმართ, სავსებით შეესაბამება განცხადების იმ იდეას, რომ საჭიროა მშვიდობისა და სოციალიზმის მთელი ძალების შეკავშირება, და ითვალისწინებს თვით იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესებს.

მარქსისტ-ლენინელები მოვალენი არიან ანალიზი გაუკეთონ ცოცხალ ცხოვრებას, რეალურ ფაქტებს. მარქსისტთა დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ცხოვრების შესწავლის საფუძველზე ისინი საღად, მიუკერძოლად განსაზღვრავენ, რა მიმართულებით ვითარდება ესა თუ ის პარტია, ესა თუ ის ქვეყანა. ცხოვრება საუკეთესო მასწავლებელია, იგი ამოწმებს ამა თუ იმ კონცეპციების სისწორეს, უკუაგდებს ყოველივე არასწორს, დანაშრევს და ამკვიდრებს ყველაფერს, რაც მის მხარდამხარ მიდის, ხელს უწყობს სოციალიზმის ძალების განვითარებას.

თავის ნაშრომში „რევოლუცია გვასწავლის" ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა:" პოლიტიკურ პარტიათა შიგნით და პოლიტიკურ პარტიათა შორის არსებულ უთანხმოებას ჩვეულებრივ წყვეტს არა მარტო პრინციპული პოლემიკა, არამედ თვით პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაც. განსაკუთრებით ის უთანხმოებანი, რომლებიც პარტიის ტაქტიკას, ე. ი. მის პოლიტიკურ მოქმედებას ეხებიან, ხშირად ამოიწურება იმით, რომ ისინი, ვინც არასწორად მსჯელობდნენ, ფაქტიურად ბრძოლის სწორ გზაზე გადადიან თვით ამბების მსვლელობის ზეგავლენით, რომელიც ყურადღებას აღარ აქცევს მცდარ მსჯელობას, შინაარსს უკარგავს მას, ინტერესს მოკლებულად ხდის ყველასათვის, რა თქმა უნდა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პრინციპული უთანხმოება ტაქტიკის საკითხებში არ საჭიროებდეს პრინციპულ განმარტებას, რასაც მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია შეუნარჩუნოს პარტიას მის თეორიულ რწმენათა სიმაღლე. არა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია რაც შეიძლება ხშირად **შევამოწმოთ** მიღებული ტაქტიკური გადაწყვეტილებანი ახალ პოლიტიკურ მოვლენათა საფუძველზე. ასეთი შემოწმება- აუცილებელია თეორიულადაც და პრაქტიკულადაც: თეორიულად იმიტომ, რომ საქმით დავრწმუნდეთ, სწორია თუ არა მიღებული გადაწყვეტილებანი, რა და რა შესწორების შეტანას გვაიძულებენ მათში ის პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ამ გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ მოხდა; — პრაქტიკულად იმიტომ, რომ ვისწავლოთ, როგორც წესი და რიგია, ვიხელმძღვანელოთ ამ გადაწყვეტილებებით, ვისწავლოთ მათში დირექტივების დანახვა, რომლებიც საქმით უშუალოდ უნდა იქნენ გამოყენებული". (თხზ., ტ. 9, გვ. 170-171).

ღონისძიებებმა, რომლებიც უკანასკნელ დროს განახორციელა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობამ პარტიული ცხოვრების, ეკონომიკის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში, გამოასწორა ბევრი რამ, რაც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას მიაჩნდა მცდარად და იუგოსლავიაში სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის საზიანოდ. ეს უდავო და ფრიად დადებითი ფაქტია.

ზოგიერთი ამხანაგი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ იუგოსლავ ხელმძღვანელებს თვითონ არა სოდეს არ განუცხადებიათ, რომ მათ აქვთ რაიმე შეცდომები „და მით უმეტეს შეუძლებელია ლაპარაკი ეგრეთწოდებულ შეცდომების მოხსნაზე". მაგრამ ვინც სწავლობს პროცესებს, რომლებიც იუგოსლავიაში ხდება, მას არ შეუძლია არ შენიშნოს, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის ნოემბრის მესამე პლენუმზე, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის 1962 წლის მარტის გაფართოებულ სხდომაზე, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წერილში ყველა კომუნისტისა და პარტიული ორგანოების ხელმძღვანელებისადმი (1962 წლის აპრილი), იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ივლისის IV პლენუმზე ამხანაგების ი. ტიტოს, ა. რანკოვიჩისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეთა მთელ რიგ გამოსვლებში გაკრიტიკებულ იქნა დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი და დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის. სიტყვაში მიტინგზე, რომელიც 1962 წლის 6 მაისს გაიმართა ქალაქ სპლიტში, ამხ. ტიტომ აღნიშნა: „თუ ახლა ჩვენ გვაქვს კიდევაც ობიექტური სიძნელეები, ობიექტური ნაკლოვანებანი, ეს არის უწინარეს ყოვლისა ჩვენი ხელმძღვანელი ადამიანების სუბიექტური შეცდომების შედეგი, შედეგი იმისა, რომ კომუნისტებმა „თავიანთი ხელიდან გაუშვეს ხელმძღვანელი როლი". იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ღონისძიებანი პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებისათვის თავისი ქვეყნის ცხოვრების ყველა რგოლში.

იუგოსლავიაში დგამენ ნაბიჯებს ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისის განსამტკიცებლად ეკონომიკის ხელმძღვანელობაში, საგარეო ვაჭრობის მოსაწესრიგებლად, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გასაძლიერებლად. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი ხაზს უსვამს, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს მშრომელთა აღზრდა სოციალისტური იდეების სულისკვეთებით.

საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იუგოსლავმა ამხანაგებმა საჭიროდ ჩათვალეს აეხსნათ, თუ როგორ ესმით ისეთი საკითხი, როგორიც არის ეგრეთწოდებული „იუგოსლავიის განსაკუთრებული გზა სოციალიზმისაკენ". იმის გამო, რომ ეს საკითხი ბურჟუაზიული პროპაგანდის სპეკულაციის საგანი იყო, ამხ. ტიტომ განაცხადა: „ჩვენთვის უცხო უნდა იყოს პირფერობა, რაც საკმაოდ ხშირად გვესმის სხვადასხვა მხრიდან, თითქოს გვაქვს ეროვნული ნიშნების მქონე ჩვენი განსაკუთრებული სოციალიზმი, რომელიც ადვილად მისაწვდომი და მიმზიდველია, არასოციალისტური ქვეყნებისათვისაც. ჩვენ ასეთი სიმპათიები არა გვჭირდება. ჩვენ გვსურს ჭეშმარიტად სოციალისტური საზოგადოება, გვსურს ისეთი ურთიერთობა, რაც სოციალისტური ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი".

ამრიგად, გვაქვს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობის მკაფიოდ გამოხატული პოზიციები, რომლებიც მიზნად ისახავენ **პარტიის** ხელმძღვანელი გეგმიანი საწყისის გაძლიერებას, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გაძლიერებას, ვხედავთ, რომ ხელმძღვანელობა ხაზს უსვამს საერთო კანონზომიერებებს სოციალიზმის მშენებლობაში. ცხადია, ყოველივე ამან უნდა განამტკიცოს სოციალიზმის პოზიციები იუგოსლავიაში და ხელი შეუწყოს მის დაახლოებას სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

იუგოსლავიის პოზიციები ძირითად საერთაშორისო საკითხებში, როგორიც არის ომი და მშვიდობა, მშვიდობიანი თანაარსებობა, განიარაღება, კოლონიალიზმის ლიკვიდაცია, გერმანიის საკითხი და ძველი რიგი სხვა საკითხები, სსრ კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების პოზიციების შესატყვისი ან ახლობელია. იუგოსლავიის ხელმძღვანელები დგამენ ნაბიჯებს სოციალიზმის ქვეყნებთან. ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის განსამტკიცებლად. ამხ. ტიტომ, რომელიც გასული წლის დამლევს გამოვიდა ქ. ჟენევაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მშრომელების სახით იუგოსლავიის მუშათა კლასს საიმედო მეგობრები ჰყავთ. „სხვაგვარად არც შეიძლება იყოს, — თქვა მან, — რადგან ჩვენი მიზნები საერთოა — სოციალიზმის აშენება, საბოლოო ანგარიშით კი კომუნიზმის აშენება. ეს ჩვენი მიზნებია, და ეს მიზნები უნდა იყოს ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება, განსაკუთრებით ჩვენს ურთიერთობაში მათთან".

თუ ანალიზს გავუკეთებთ ფაქტებს, არ შეიძლება არ გამოვიტანოთ დასკვნა, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირში, იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში ხდება დადებითი პროცესები სოციალისტურ თანამეგობრობასთან, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასთან დასაახლოებლად. მხოლოდ განცვიფრება შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ სწორედ ახლა გაისმის ხმები, თითქოს იუგოსლავიაში „რესტავრირებულია კაპიტალიზმი" და მისი ხელმძღვანელები უნდა შევაჩვენოთო. გვინდა მოვიგონოთ ის შეფასება, რასაც „ჟენმინ ჟიბაო" აძლევდა იუგოსლავიაში საზოგადოებრივი წყობილების ბასიათს. აი, მაგალითად, რა იყო ნათქვამი გაზეთის 1957 წლის 12 სექტემბრის მოწინავე სტატიაში, რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის დელეგაციის ჩასვლას ჩინეთში: „ახლა ჩვენი ქვეყნების ხალხები მიდიან წინ სოციალიზმის მშენებლობის გზით. ჩვენ ერთნაირად

კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ-ლენინური ერთიანობისათვის, სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ლივი პროდუქტის 76 პროცენტი და ეროვნული შემოსავლის 75 პროცენტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არ მალავდა და არ მალავს, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან ურთიერთობაში რჩება უთანხმოებანი მთელ რიგ იდეოლოგიურ საკითხებში, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამაში. ამაზე გულახდილად ილაპარაკა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის ტრიბუნიდან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აკრიტიკებდა და კვლავაც გააკრიტიკებს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ზოგიერთი მოღვაწის ცდას სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა გააიგივეონ სამხედრო ბლოკთან და არსებითად ტოლობის ნიშანი დასვან მას და ნატოს შორის, რადგან ასეთი გაიგივება ნიშნავს კლასობრივი მარქსისტულ-ლენინური პოზიციებისაგან ჩამოშორებას.

ამასთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას იუგოსლავიაში, იმას, რომ გაუმჯობესდეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ურთიერთობა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე. რა თქმა უნდა, ამ პროცესის განვითარება, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პოზიციაზე, მის ხელმძღვანელობაზე. არ შეიძლება რაიმე ეჭვი ვიქონიოთ, რომ იუგოსლავიასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუჯობესება განამტკიცებს სოციალიზმის პოზიციებს იუგოსლავიაში, სოციალისტური სისტემის ალებს, შეესაბამება სოციალიზმის ყველა ქვეყნის ინტერესებს.

რა იქნებოდა, თვითეულმა კომუნისტურმა პარტიამ თვითნებურად რომ მოკვეთოს სხვა კომპარტიები სოციალიზმს, უცადოს მათ ალიოვნებას კომუნისტური მოძრაობის რიგებიდან, და მით უმეტეს ეარი უთხრას მთელ რიგ ხალხებს სოციალიზმის აშენებაში თანამონაწილეობის უფლებაზე? ამას გადუვალად შეუძლია სერიოზულად შეაფერხოს მსოფლიო რევოლუციური პროცესი, ახალი ყობილების გამარჯვებისათვის, ალი საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლის საქმე. ხალხებს, ომლებიც ესწრაფვიან გაუმჯობესონ მეგობრული ურთიერთობა, განამტკიცონ თანამშრომლობა და ერთობა ჩვენთან, რატომ ნდა ვკრთი ხელი და შევაბრუოთ კაპიტალიზმის ბანაკისაკენ? ამგვარად მოქცევა იმას ნიშნავს, ომ შევურიგდეთ ყველაზე ცუდი ტიპის დოგმატიზმობას, იმას ნიშნავს, რომ მსხვერპლად გავიოთ რეალური პოლიტიკური ინერესები საერთაშორისო ბრძოლაში „მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდის შესახებ“ მყვირალა ფრაზების ნიღბით. მაგრამ ბრძოლა ჩვენი თეორიის ნამდვილი სიწმინდისა და ქმედითობისათვის — ეს არის ბრძოლა სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის, მის ომბრეთა რიგების გაფართოებისათვის, მთელი იმ ძალების გაერთიანებისათვის, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმისათვის, უაღესად ფართო ანტიიმპერიალისტური ფრონტის შექმნისათვის.

ამ საკ ყოველთვის წმიდად იცავდა მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის სიწმინდეს, შემოქმედებითად ავითარებდა მას ახალ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით. იგი იბრძოდა მენშევიზმისა და ტროცკიზმის, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ თავის ქვეყანაში, II ინტერნაციონალის ოპორტუნიზმის სოციალ-დემოკრატიზმის წინააღმდეგ, რევიზიონისტების, სექტანტებისა და დოგმატიკოსების წინააღმდეგ საერთაშორისო ასპარეზე. ჩვენი პარტია კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს მარქსიზმ-ლენინიზმისაგან როგორც მარჯვნივ, ისე „მარცხნივ“ ყველა განდგომილის წინააღმდეგ.

მოსკოვის თათბირის განცხადებაში, რომელმაც გამოაცხადა ბრძოლა რევიზიონიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, მთელი ძალით ხაზგასმულია ისიც, რომ საჭიროა ბრძოლა დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ.

ამიტომ განცხადებას ცალმხრივად უდგება და ამახინჯებს ის, ვინც ხაზს უსვამს მხოლოდ რევიზიონიზმის საფრთხეს და არც კი იხსენიებს დოგმატიზმთან ბრძოლას. როგორც ცნობილია, ბევრი პარტიის წინადადებით უკვე მაშინ მკაფიოდ გამოვლინებული ტენდენციის ანალიზის საფუძველზე განცხადებაში ჩაწერილია: „დოგმატიზმი და სექტანტობა თეორიასა და პრაქტიკაში, თუ მათ წინააღმდეგ წარმოებულ არ იქნა თანმიმდევრული ბრძოლა, აგრეთვე შეიძლება გახდნენ მთავარი საფრთხე ცალკეული პარტიების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. ისინი რევოლუციურ პარტიებს ართმევენ უნარს განავითარონ მარქსიზმ-ლენინიზმი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე და შემოქმედებითად გამოიყენონ იგი კონკრეტული პირობების შესაბამისად, ახდენენ კომუნისტების იზოლირებას მშრომელთა ფართო ფენებისაგან, განუმზადებენ მათ პასიურ ლოდინს ან მომემარცხენო, ავანტიურულ მოქმედებას რევოლუციურ ბრძოლაში, შესაძლებლობას არ აძლევენ დროზე და სწორად შეაფასონ ცვალებადი ვითარება და ახალი გამოცდილება, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიული ძალების გამარჯვების ინტერესებისათვის

და ამით ხელს უშლიან ხალხებს მოიპოვონ გამარჯვება მათს სამართლიან ბრძოლაში“. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საჭიროა ვაწარმოოთ მტკიცე ბრძოლა როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. როგორც ახლა არა ნაკლებ საშიშია, ვიდრე რევიზიონიზმი.

შეცდომების კრიტიკა მიზნად ისახავს არა მარტო იმას, რომ დავიცვათ კომუნისტური მოძრაობის სწორი მარქსისტულ-ლენინური ხაზი, არამედ დავეხმაროთ კიდევაც იმათ, ვინც შეცდომებს უშვებს, გამოვასწოროთ ისინი.

ამა თუ იმ საკითხების განხილვის დროს არ შეიძლება დავუშვათ შეუწყნარებლობა და გაბრაზება, ეს გარდუვალად გამოიწვევს სექტანტურ გონებაშეზღუდულობას, არათუ ხელს არ შეუწყობს მსოფლიო კომუნიზმის ძალების კონსოლიდაციას, არამედ პირიქით, შეარყევს ჩვენს ერთიანობას. ჯვარს აცვამდე, შეცდომების გამოსწორებას უგულებელყოფდე, დაუსწრებლად ლაპარაკობდე მათ შესახებ, — ეს პოლიტიკური ანგარიშგასწორების მეთოდია, რომელსაც ლენინურ პრინციპებთან საერთო არა აქვს რა. კომუნისტურ პარტიებს შორის ურთიერთობაში საჭიროა ვიჩენდეთ მეტ მომთმენობას, მეტ ტაქტს, მეტ მოქნილობას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე შეკავშირების ინტერესებისათვის.

კომუნიზმისაგან მისი მომხრეების მოკვეთის, ჩამოშორების პოლიტიკა ლენინური პოლიტიკა როდია. საჭირო არ არის იმის გახსენება, თუ რა შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ვ. ი. ლენინი მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ ლენინი არ იშურებდა ძალღონეს, რომ დახმარებოდა გზასაცდენილთ თუ შემცდართ შეეგნოთ თავიანთი შეცდომები და დაბრუნებოდნენ კომუნისტური მოძრაობის რიგებს. შეგვიძლია მაგალითისათვის დავიმოწმოთ ლენინის მიერ ინგლისელ, გერმანელ, ჰოლანდიელ და სხვა კომუნისტთა მემარცხენე ოპორტუნისტული შეცდომების კრიტიკა. ხომ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამის შემდეგ ლენინი, ჩვენი პარტია, ისევე როგორც სხვა მოძმე პარტიები, განაგრძობდნენ ნამუშევარ ნამდვილ ინტერნაციონალიზმ-ლენინიზმ-ინტერნაციონალიზმ-ინტერნაციონალიზმ-ინტერნაციონალ

საკდესის განცხადება

ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიამ ამა წლის 8 თებერვალს გამოაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა განაახლეს მიწისქვეშა ატომური გამოცდები ნევადაში. საკდესს დავალებული აქვს ამასთან დაკავშირებით განაცხადოს შემდეგი:

ამ მომენტამდე მთელ მსოფლიოში ცოცხლობდა იმის იმედი, რომ 1963 წელს არ განხორციელდებოდა ატომური იარაღის არავითარი გამოცდა და იგი გახდებოდა ასეთი გამოცდის სამუდამო, სრული აკრძალვის პირველი წელი. ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა 1963 წლის 1 იანვრიდან მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესიამ 1962 წლის 7 ნოემბრის რეზოლუციაში. საბჭოთა მთავრობამ ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს არ განახორციელოს ატომური აფეთქებანი, თუ დასავლეთის სახელმწიფოებიც ასევე მოიქცევიან. შეერთებული შტატების მოქმედება, რომელთაც განაახლეს მიწისქვეშა ატომური აფეთქებანი, იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უგულებელყოფს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებას 1963 წლის 1 იანვრიდან გამოცდების შეწყვეტის შესახებ, რომელშიც გამოხატულება პოვეს ყველა ხალხის მისწრაფებებმა.

შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის განახლება შუქს ჰფენს იმას, თუ რატომ არ დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის აღნიშნულ გადაწყვეტილებას. საიდუმლო სინამდვილედ იქცა, და ახლა განსაკუთრებით ცხადია, თუ რა მოსაზრებებით სარგებლობდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავის მიდგომაში საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებისადმი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამასწინანდელ წერილებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისადმი. თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი კონტროლისათვის სავსებით საკმარისია აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი, მაგრამ საბჭოთა კავშირი მაინც დაეთანხმა იმას, რომ წელიწადში განხორციელდეს ორი-სამი ინსპექცია და მოეწყოს ავტომატური სეისმური სადგურები ყოველი ატომური სახელმწიფოს ტერიტორიაზე ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის აკრძალვისათვის თვალყურის სადევნებლად.

საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი მთელ მსოფლიოში შეაფასეს როგორც კეთილი ნების გამოვლინება, როგორც დიდმნიშვნელოვანი კონსტრუქციული ნაბიჯი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის პრობლემის გადაჭრის გზაზე, ნაბიჯი, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა უმოკლეს ვადაში მიღწეულიყო შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ამით აღმოიფხვრა დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ შექმნილი ხელოვნური დაბრკოლებანი, რომელთა გამო დღემდე იფუშებოდა შეთანხმების დადება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა მთავრობა დაეთანხმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თხოვნას საბჭოთა წინადადებების განხილვისათვის მოლაპარაკების შესახებ, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ამ წინადადებათა საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებს, შეიძლებოდა შეთანხმების სწრაფი მიღწევა. მაგრამ ამ მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ამა წლის იანვრის მეორე ნახევარში მიმდინარეობდა ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, ერთი მხრივ, სსრ კავშირსა და, მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებს შორის, შეუძლებელი გახდა დადებითი შედეგების მიღწევა. ამის მიზეზი ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მთავარი საზრუნავი იყო არა შეთანხმების ძიება, არამედ მომზადება ატომური იარაღის გამოცდის განახლებისათვის. სწორედ ამიტომ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში ამერიკის წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ ძირითად გადაუჭრელ საკითხთა გადაწყვეტას, რომლებიც აბრკოლებენ შეთანხმების დადებას გამოცდის შეწყვეტის შესახებ, თუმცა ამისთვის ყველა საშუალება არსებობდა.

ახალ ატომურ აფეთქებათა ხმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაისმა იმ დღის წინ, როცა ენენეაში მუშაობა განაახლა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა. ეს აფეთქებანი, უეჭველია, ართულებენ მოლაპარაკებას ენენეაში და აძნელებენ შეთანხმების მიღწევას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, აგრეთვე 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მთელ მუშაობას.

მიწისქვეშა ატომური გამოცდების განახლება ბიძგს აძლევს ახალ გამალებულ ატომურ შეიარაღებას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ შედეგებისათვის, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ ნაბიჯს.

სეიფებთან ახლოს

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდესი). ჩომბე, რომელიც პარიზს მიემგზავრება, ღეღს ნიცაში ჩავიდა, იეწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი. მის შემდგომ ფრენას ხელი შეუშალა „ნისლმა პარიზში“.

კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩომბეს განზრახული აქვს პარიზიდან გაფრინდეს შვეიცარიაში. ამას წინათ იეწყებოდნენ, რომ ჩომბემ შვეიცარიის ბანკებში პირად ანგარიშზე გადარიცხა ვეებერთელა ფულადი თანხები.

ქრონიკა

ბეირუთი, 9 თებერვალი. (საკდესი). ბაღდადიდან მიღებული ცნობებით, ხუთმა ქვეყანამ — არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ, იემენმა, ალჟირმა, სირიამ და კუვეიტმა — ცნო ერაყის ახალი რეჟიმი.

საერთაშორისო
ლიტერატურული, ცხოვრებისეული, ფილოსოფიური, ეროვნული
ცხოვრება

ერაყის ამბები

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდესი). გუშინ მეფე ჰუსეინმა მთავრობის წევრებთან გამართა თათბირი. თათბირის შემდეგ იორდანიის არმია საბრძოლოდ განამზადეს, იეწყება რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ამანიდან.

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდესი). ერაყში სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ სირიის აეროდრომები სიფრთხილის მიზნით დახურულია სამოქალაქო მოძრაობისათვის, იეწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან.

ლონდონი, 11 თებერვალი. (საკდესი). განცხადებაში ერაყის ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა ტალიბ ჰუსეინ შაბიბმა გააკეთა, ნათქვამია, რომ ერაყი პატივს სცემს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ყველა ქვეყანასთან, აგრეთვე დაემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, იეწყება რეიტერის საგენტო, რომელიც იმოწმებს ბაღდადის რადიოს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ერაყს „განზრახული აქვს იბრძოლოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მხარი დაუჭიროს ეროვნულ მომრაობას“, იგი აგრეთვე ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, „რომ განამტკიცოს საერთაშორისო მშვიდობა ყველა დარგში“. ერაყი განახორციელებს ბლოკებსმიუმხრობლობის პოლიტიკას და იხელმძღვანელებს ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებით, რათა განახორციელოს აფრიკა-აზიის თანამშრომლობა.

დასასრულ მინისტრმა აღნიშნა, რომ ერაყი „ყოველ ღონეს იხმარს, რათა კვლავაც განამტკიცოს ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან, გაითვალისწინებს რა ურთიერთინტერესებს“.

ვოკალური ხელოვნების ოსტატები

სიმღერის ქალა

საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის ერთ-ერთი წამყვანი სოლისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე ყოველთვის სასურველი სტუმარია თბილისის საოპერო თეატრში. ანჯაფარიძის გასტროლები ჩვენი ქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. მომღერალი ფართო პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. მრავალფეროვანია მსახიობის რეპერტუარიც.

მშვენიერი ხმა (ლირიკულ-დრამატული ტენორი), მუსიკალობა, ნათელი დიქცია, მეტყველი, სახოვანი ფრაზა, ვოკალური ოსტატობა და ბუნებრივი ნიჭიერება ხელს უწყობს ზურაბ ანჯაფარიძეს წარმატებით შეასრულოს ტენორთა ყველა ჯგუფის პარტიები, დრამატული ხასიათისა იქნება, ლირიკულ-დრამატული თუ წმინდა ლირიკული. საოპერო სახეთა მთელი გალერია შექმნა მომღერალმა, და თვითეული მათგანი უალრესად თვითმყოფი, რეალისტური და დამაჯერებელია.

1953 წელს რეჟისორი ი. თუმანიშვილი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმაზე მუშაობდა. დიდხანს ეძებდა იგი შესრულებელს ოპერის მთავარი გმირის — აბესალომისათვის. დამწყებ მომღერალს—ზურაბ ანჯაფარიძეს, რომ იტყვიან, სწორედ ბედმა გაუღიმა. რეჟისორისა და თეატრის ხელმძღვანელობის არჩევანი ახალგაზრდა მომღერალზე შეჩერდა. დებიუტმა, რომელიც წარმატებით აღინიშნა, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ზ. ანჯაფარიძის, როგორც მომავალი მომღერლის, ცხოვრებაში.

ზურაბ ანჯაფარიძისათვის, როგორც ქართული ეროვნული ოპერის პარტიების საუკეთესო შემსრულებლისათვის, ასევე მახლობელი და საყვარელია მალხაზის სახე ქართული კლასიკური მუსიკის დიდი წარმომადგენლის ზ. ფალიაშვილის მეორე ოპერა „დაისში“. თავისუფლად რომ ფლობს ხმას, მომღერალი დიდი უშუალობით, გულწრფელობითა და სითბოთი ასრულებს პოპულარულ არია „თავო ჩემოს“ და ყოველთვის მსმენელთა მოწონებასა და აღფაცებას იწვევს.

სახიხარულო წარმატებას მიაღწია ზურაბ ანჯაფარიძემ თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევრით. ეს არის მსახიობის მიერ შექმნილი ნათელი სახე მინდიასი კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის ამავე სახელწოდების ოპერაში. მომღერალი დიდი შთაგონებით ასრულებს ამ პარტიას. ზურაბ ანჯაფარიძე განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას თავისი გმირის ისეთ გრძნობებზე, როგორიც არის ჰუმანურობა, სამშობლოს სიყვარული. მომღერალს ამ როლში რომ უსმენთ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს კომპოზიტორს მინდიას პარტია საგანგებოდ მისთვის დაეწეროს.

პარტიიდან პარტიამდე, სპექტაკლიდან სპექტაკლამდე ხვეწს და სრულყოფს თავის ვოკალურ შესაძლებლობებს ზურაბ ანჯაფარიძე. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ტენორია.

გერმანის დრამატული პარტიის ხორცშესხმა პ. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“ მოდამ ითვლებოდა მომღერლის შემოქმედებით წარმატებად. როცა ეს ოპერა კინოსურათად დაიღება, ზურაბ ანჯაფარიძე მიწვეულ იქნა გერმანის როლის მუსიკალური ნაწილის შემსრულებლად. ეს მისი დიდი გამარჯვება იყო, და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს გაწეულმა მუშაობამ ხელი შეუწყო მომღერალს სრულყოფილად წარმოედგინა გერმანის სახე საოპერო თეატრის სცენაზე. გულმოდგინე მუშაობით ხმა ერთგვაროვან მომაგრდა და დაიხვეწა, დიქცია მკაფიო გახდა, ფრაზამ მეტი სიმკვეთრე შეიძინა. დიდ მომზადებასა და ვოკალურ სიმწიფეს მოითხოვს მსახიობისგან გერმანის მუსიკალური ხასიათი პირველი მოქმედების ფინალში („ქუხილია, ელავს, ქარია“). თავისუფლად, ძალდაუტანებლად ართმევს თავს ზურაბ ანჯაფარიძე ოპერის რთულ ვოკალურ პარტიტურას და ძლიერი ემოციური ზემოქმედების ძალის სახეს ქმნის.

ღრმად შთამბეჭდავია ზურაბ ანჯაფარიძე თავისუფლებისმოყვარე, რევოლუციურად განწყობილი მხატვრის კავარადოსის რომანტიკული ხასიათის როლში (პუჩინის ოპერა „ტოსკა“). მშვენივრად მღერის მსახიობი ცნობილ არიას „იდუმალია ჰარმონია“ (პირველი მოქმედება) და ჭეშმარიტ ვოკალურ დრამატიზმს აღწევს სიკვდილისწინა არიაში „ციმციმებდნენ ვარსკვლავები“.

ნიჭიერი მომღერლის რეპერტუარში ნათელი ფურცელია დონ ხოზეს კოლორიტული სახე ბიზეს ოპერა „კარმენში“. ღრმაემოციურად, ამაღელვებლად ყღერს ზურაბ ანჯაფარიძის შესრულებით ცნობილი არია ოპერის მეორე მოქმედებაში — „ხედავ, როგორ წმინდად ვინახავ“. ნამდვილი ტრაგედიული სიძლიერით ატარებს მსახიობი მთელ მეოთხე მოქმედებას. ეს განსაკუთრებით ითქმის კარმენის მოკვლის სცენაზე, რომელიც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე.

დრამატული ტენორის რეპერტუარში ერთ-ერთი ძირითადი რადმესის პარტია ვერდის ოპერა „აიდაში“. მომღერალი თავისუფლად ძლევს ამ პარტიის მთელ სირთულეს. მსუბუქად და დიდი გამომსახველობითი ძალით ასრულებს რადმესის გამოსასვლელ არიას „საყვარელო აიდა“. ძლიერად ეღერს დასკვნითი ფრაზა ნილოსთან სცენაში „დიდო ქურუმო, მე ტკვე ვარ შენი“. ლირიზმით მღერის მსახიობი სიკვდილისწინა დუეტს აიდასთან.

ლირიკულ-დრამატულმა ტენორმა მხოლოდ გულმოდგინე მუშაობით შეიძლება მიაღწიოს ხმის ხასიათის ისეთ შეფერადებას, რაც საჭიროა წმინდა ლირიკული ყღერადობის ალფრედის, ჰერცოგის (ვერდის ოპერები „ტრავიატა“ და „რიგოლეტო“) და ფაუსტის (გუნოს ამავე სახელწოდების ოპერა) პარტიების შესრულებისათვის. ზურაბ ანჯაფარიძე კი მშვენივრად ძლევს ამ სირთულეს.

ძნელია პატარა საგაზეთო წერილში სრულად დაახასიათო მსახიობის მიერ ხორცშესხმული ყველა საოპერო პარტია, ასევე ძნელია უპირატესობა მიანიჭო რომელიმე მათგანს. ზურაბ ანჯაფარიძე ყველა როლს თანაბარი პასუხისმგებლობით ეკიდება. ეს გარემოება კი მისი წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ზურაბ ანჯაფარიძე ხშირად გამოდის საბჭოთა კავშირის საუკეთესო საოპერო სცენებზე, სადაც ყოველთვის მაყურებელთა სიყვარულსა და აღიარებას იწვევს.

დიდ წარმატებას მიაღწია მომღერალმა ამას წინათ ბულგარეთში გასტროლების დროს. ბულგარეთი თბილისელთათვის კარგად ცნობილი დიმიტრი უზუნოვის, ნიკოლო ნიკოლოვის, ივანე დიმოვისა და სხვა გამოჩენილი ტენორების ქვეყანაა. მით უფრო სასიამოვნო იყო ქართველი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის ბრწყინვალე წარმატება ამ ქვეყანაში.

მომღერლის საქმიანობა მრავალმხრივია. იგი არ იფარგლება მხოლოდ საოპერო რეპერტუარით. დიდ ყურადღებას უთმობს კამერულ მუსიკასაც. ამას წინათ მოსკოვში მან გამართა სოლო კონცერტი, სადაც შეასრულა ბეთოვენის, რაველის და ეფიმოვ-ლოგინოვის კომპოზიტორთა რომანსები. ნაწარმოებები. მომღერლის ამ კონცერტს, რომელიც ნოლოდ მეტ-ყველებდა მომღერლის მაღალ ხელოვნებაზე მოსკოველთა საერთო აღიარება ჰპოვა.



ახლა მსახიობი მუშაობს ვერდის დონ-კარლოსისა და ოტელოს პარტიებზე ამავე სახელწოდების ოპერებში, რომლებიც შესულია სსრ კავშირის დიდი თეატრის რეპერტუარში. გარდა ამისა, თავისი მეორე სოლო კონცერტის პროგრამის მომზადებისას მომღერალი მუშაობს მოცარტის, შუმანის, შუბერტის, ვაგნერის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, აგრეთვე საბჭოთა და ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებზე.

მ. ბერიძე.

* * *

სურათებზე: ზემოდან — ზურაბ ანჯაფარიძე, — მინდიასა (ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია“) და გერმანის (პ. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალი“) როლებში.

„პაპრიკა-კოკტაილი“ თბილისს ესტუმრა

ორ დღეში ჩვენი დედაქალაქის სადალტო ხელოვნების მოყვარულნი სპორტის სასახლეში შეხვდებიან ევროპაში პოპულარულ მოციგურავეთა დას — უნგრულ რევიუს ყინულზე.

ეს კოლექტივი გუშინ თბილისში მეორედ ჩამოვიდა. ბევრს ახსოვს მათი შარშანდელი „მელოდიები ყინულზე“. წელს კი ჩამოგვიტანეს ახალი პროგრამა, რომელსაც ჰქვია — „პაპრიკა-კოკტაილი“, რაც „წითელი წიწაკის კოკტეილს“ ნიშნავს. ეს არის სანახაობა ორ გაყოფილებად და შვიდ სურათად, და ცეკვების, თუ შეიძლება ასე ითქვას, თაიგულს წარმოადგენს.

ფემთხვევები

სპაჩკოვების მამაცობა

ვერ იქნა და ვერ მოახერხა ღუმელის ანთება მაჰიზარ ჰუსეინ უზნამ. ძლიერი ქარი იბერებოდა საკვამლე მილში და ცეცხლს აქრობდა. მაშინ ჭუჭყიანი ბენზინი შეასხა ღუმელში. ცეცხლმა უცბად ფეთქა და დიასახლისის ტანსაცმელს წაეკიდა. შეშინებული ქალი გარეთ გაოგარდა და კიენი მორთო.

მაჰიზართან ცოლ-ქმარი ფეოდოსია და მიხეილ სკაჩკოვები მიიჭრნენ. მიხეილმა მაჰიზარს სწრაფად შემოაბა ალმოდებული ტანსაცმელი და, როცა დარწმუნდა, რომ დიასახლისს საფრთხე აღარ ელოდა, ცეცხლმოკიდებულ ოთახში შევარდა. ოთახში ორი ბავშვი იყო. მიხეილმა და მისმა მეუღლემ ისინი სწრაფად აიტაცეს ხელში და გარეთ გამოიყვანეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ხანძარიც ჩაანერეს.

ი. დაუბამიროვი.



ჩვენი პლანეტის ამინდი

„წყლის დონემ მდინარეებში 5-8 მეტრით აიწია... წყალი უახლოვდება ქალაქებსა და სოფლებს. გლეხები წყალდიდობისაგან მთებში იხიზნებიან“, — მოდის ცნობები საბერძნეთიდან. რამდენიმე დღის წინ ამ რაიონში 30 გრადუსი ყინვა იყო და თოვლი მოდიოდა. აფრიკის სითბოს ძლიერმა ტალღამ გადღვენა სიცივე იტალიიდან, საბერძნეთიდან. იქ წვიმები დაიწყო, თერმომეტრი ზოგიერთ ადგილას 20 გრადუს სითბოს უჩვენებდა. თოვლი სწრაფად გადნა, წყალდიდობა დაიწყო.

20 გრადუსამდე ყინვებია საფრანგეთში, ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში. ყინულით დაიფარა შვეიცარიის ყველაზე დიდი ტბა — ბოდენსა, რომელიც 1880 წლის შემდეგ არ გაყინულა. თოვლის საფარი მეტრნახევარზე მეტი (ორჯერ მეტი, ვიდრე მოსკოვში). სამხრეთის ქარებმა დასავლეთ საფრანგეთში ტემპერატურის აწევა გამოიწვია. სუსტდება ყინვები ცენტრალურ ევროპაშიც. ძლიერმა ციკლონმა ატლანტიკიდან ქარიშხალი მოიტანა ბრიტანეთის კუნძულებზე. მძიმე, სველმა თოვლმა დაფარა ქუჩები. ტრანსპორტის მოძრაობა შეჩერდა.

სამხრეთის ციკლონებმა სითბო მოიტანეს უკრაინაში, მოლდავეთში, ბელორუსიასა და ცენტრალურ ოლქებში. ყირიმში გაზაფხულის დღეებია, 19 გრადუსი სითბო დგას, ბათუმში კი 21 გრადუსი. თბილმა ჰაერმა მიაღწია მოსკოვამდეც. სადაც ერთ თვესა და 20 დღეს ყინვები იდგა. დედაქალაქის თავზე გამოჩნდა ქათქათა თეთრი ღრუბლები — გაზაფხულის პირველი მაცნეები.

შემდეგ ცენტრალურ რაიონში სიცივე დაიწყო. ქრდა იმიერვოლგიდან და ყაზახეთიდან მონაბერი ქარი. აქ მთელი კვირის მანძილზე მცირე-ღრუბლიანი ამინდები და 25 გრადუსი ყინვა იდგა.

ატლანტიკის თბილი ჰაერი იშვიათად თუ აღწევს იაკუტიამდე. მაღალ მთებზე და მდინარეთა ველებში სიცივე გრძელდება. აქ 50 გრადუსზე მეტი ყინვებია.

საკვირველი ამინდები დგას შორეულ აღმოსავლეთში. ოხოტსკის ზღვაზე — პირველად შორეულ აღმოსავლეთ ი ს ზღვის ნაოსნობის ისტორიაში — გემები თავისუფლად ცურავენ მაგადანსა და ვლადივოსტოკს შუა: ყინული არ არის.

წყნარი ოკეანეს ქარებმა სითბო მოიტანა ჩინეთში. მოიღრუბლა, წვიმები წამოვიდა. სიმშვიდე არ არის ფილიპინების, ინდონეზიის კუნძულების, ცეილონის ცაში.

ისევ სიცხეებია ავსტრალიასა და არგენტინაში. თბილი დარები დაიჭირა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტემპერატურა 15 გრადუს სითბომდე ადის, თუმცა ღამით ყინავს.

ანტარქტიდის სანაპირო სადგურებში მცირე ყინვებია, ხშირია თოვლი და ქარბუქი. სადგურ „აღმოსავლეთში“ 40 გრადუსი ყინვაა. ცა ნათელი და წყნარია.

სააგენტო „ახალი ამბები“.



• თეატრალური ცხოვრება • სპორტული ქრონიკა •

პირველობის ფინიში გაკურიანში

ბაკურიანის კოხტა-გორის მიდამოებში უძლიერესთა პაექრობა მიწყნარდა, დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში.

ჩემპიონატში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრეს თბილისელმა მოთხილამურეებმა. კარგად მომზადებული გუნდი ჰყავდა მესტიას, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

50 კილომეტრის გადარბენაში გამარჯვებული გამოვიდა შ. კობახიძე (თბილისი).

ტალინის კორტებზე

ტალინი. გუნდური ტურნირის შემდეგ აქ დაიწყო ჩვენი ქვეყნის 32 უძლიერესი ჩოგბურთელი ვაჟისა და 24 ქალის პირადი შეჯიბრება, რომელიც რვა დღეს გაგრძელდება. პირველი ათეულის მოთამაშე **ნ. მინარიშვილი** სერიოზულ კონკურენციას წაწყდა ნორჩ მოსკოველ **ვ. ტკაჩოვთან** შეხვედრაში. დიდმა გამოცდილებამ თბილისელს გამარჯვება მოუტანა — 9:7, 7:5, 7:5.

სრულიად საკავშირო პირადი პირველობის ფინალური შეხვედრები გაიმართება 16 და 17 თებერვალს.



ლოს-ანჟელოსის სენსაციები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ნიუ-იორკში მძლეოსანთა ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენების ვ. ბრუმელის, ი. ტერ-ოვანესიანისა და ვ. ბულიშევის ტრიუმფზე.

მორიგი შეჯიბრება საბჭოთა მძლეოსნების მონაწილეობით შედგა ლოს-ანჟელოსში. ამ შეხვედრაში კვლავ ისახელა თავი ი. ტერ-ოვანესიანმა, რომელმაც ერთხელ კიდევ ხაფა ცნობილ ამერიკელ სპორტსმენს რალფ ბოსტონს. ამჯერად მისი შედეგი სიგრძეზე ხტომაში იყო 8 მეტრი.

მოულოდნელი აღმოჩნდა ვ. ბრუმელისა და ჯ. თომასის ორთაბრძოლის შედეგი. მეტოქეებმა აჩვენეს შედეგი 2 მეტრი და 14 სანტიმეტრი, მაგრამ, ჯ. თომასს სიმაღლის დაძლევაში 5-კლეტი ცდა დასჭირდა, ამიტომ გამარჯვებაც მას მიაკუთვნეს.

მესამე საბჭოთა სპორტსმენს ვ. ბულიშევს ამჯერად ბრძოლა მოუხდა მისთვის უჩვეულო დისტანციაზე 1,000 იარდზე. ამიტომ მისი შედეგიც დაბალი აღმოჩნდა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

მოტოკროსი დელიში

დელიში გასულ კვირადღეს მიმზიდველი ასპარეზობის მოწმე იყო. აქ გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს მოტომრბოლთა ასპარეზობა. მოტომრბოლებს უნდა გაეკლოთ 9 წრე (თვითეული წრე 2 კილომეტრი). გაიმარჯვა თბილისის დოსაფის წარმომადგენელმა ვ. კლიმენტიევმა.

საინტერესო ამბების სამყაროში

არაჩვეულებრივი მოვლენა მზეზე

პულკოვო. (საკდესის კორ.). პულკოვოს ობსერვატორიის ჩრდილოეთ კავკასიის მაღალმთიანი ასტრონომიული სადგური მზის აქტივობის პრობლემის შესწავლის ცენტრი გახდა ჩვენს ქვეყანაში.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში პულკოვოში ჩამოსულმა მაღალმთიანი სადგურის უფროსმა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ნ. ნევიშევმა განაცხადა:

დაკვირვების შედეგად იანვარში მზეზე შევამჩნიეთ არაჩვეულებრივი მოვლენა. მნათობის აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩნდა დიდი ლაქა, რომელიც დასავლეთისაკენ მოძრაობდა. მოულოდნელად გადიდდა მზის გვირგვინის შიგა ფენების სიკაშკაშე, ასე ხდება მხოლოდ მზის აქტივობის მაქსიმუმის პერიოდში. სპექტროგრამების დამუშავების შედეგად უკვე მიღებულია ხარისხოვანი სიდიდეები, რომლებიც ახასიათებენ პროცესის სიმძლავრეს.

არაჩვეულებრივმა მოვლენამ გავლენა მოახდინა დედამიწის ატმოსფეროს სიწყნარეზე. გამოიყო ელექტრულად დამუხტული ნაწილაკები, წარმოიშვა პოლარული ნათება, მაგნიტური ქარიშხალი. შეიცვალა რადიოტალღების გავრცელების პირობები.

ახლა ჩვენი აპარატურა იყენება ახალი რადიოტელესკოპებითა და ოპტიკური ხელსაწყოებით, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ კომპლექსურად თვალყური ვადევნოთ მზის სხვადასხვა ფენაში მომხდარ პროცესებს. ძლიერდება ჩვენი მეცნიერული კოტაქტები მზის საზღვარგარეთულ კვლევარებთან, მათ შორის ჩეხოსლოვაკიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იაპონიის, ავსტრიის, უნგრეთის, პოლონეთის მეცნიერებთან. ზოგიერთი ამ ქვეყნის წარმომადგენელმა ამას წინათ ინახოდა მაღალმთიანი სადგური. ჩვენ მოვილაპარაკეთ ერთობლივ მუშაობაზე. კერძოდ, წყნარი მზის საერთაშორისო წლის პერიოდში მეცნიერულ ინფორმაციათა გაცვლაზე.

ქარვის ოთახის საიდუმლოება

კალინინგრადი. (საკდესის კორ.). საბჭოთა ადამიანებისათვის კარგად არის ცნობილი ქარვის ოთახის ტრაგიკული ბედი, ეს ოთახი ჰიტლერელმა მძარცველებმა გაიტაცეს ქალაქ პუშკინოს ეკატერინეს სასახლიდან. თითქმის თვრამეტი წელია მიმდინარეობს შედეგრის ძებნა.

ამას წინათ ამ ძველ ისტორიას ახალი ფაქტები შეემატა. ლიტვის შილუტეს რაიონის გლეხმა ა. სტრონგალისმა „კალინინგრადსკაია პრავდის“ რედაქციას გაუგზავნა ქალაქ კენიგსბერგში 1943 წელს გამოცემულ ძველ გერმანულ ჟურნალში დაბეჭდილი სტატია. სტატიის ავტორი კურტ შარფენორტი დაწვრილებით აღწერს ეკატერინეს სასახლის დანგრევის პროცესსა და ვითარებას, რომელშიც მოხდა ოთახის გაძარცვა.

„უნტერ-ოფიცერი და სამშენებლო ასეულის ექვსი ჯარისკაცი, — იეწყება შარფენორტი, 36 საათის განმავლობაში შლიდნენ ოთახს. როცა ოთახი კენიგსბერგში ჩაიტანეს, გადასცეს სახელმწიფო კოშკებისა და პარკების სამმართველოს“.

ავტორი იეწყება, თუ ვინ იყვნენ ოთახის გადაცემის ხელმძღვანელები: კაპიტანი დოქტორი პენგსენი და როტმისტრი დოქტორი გრაფი ფონ ბოლმლსაუბახი: რასაკვირველია ესენი მთავარი მძარცველები არ არიან, მაგრამ მათაც შეეძლოთ ბევრი რამ ეცნობებინათ, ისევე, როგორც ეგრეთ წოდებული სამშენებლო ასეულის ჯარისკაცებს.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

12 თებერვალი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი, კოსმოსი — გამარჯობა, გნატ! ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), გაზაფხული — ყინულთსვლა, თბილისი, კომკავშირელი, თანამგზავრი — ეს მხოლოდ ხუთრობა იყო, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ვალერი ჩკალოვი, კოლხიდა — სამი მუშკეტერი (I სერია), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კოლმეურნე, კომუნარების ბაღი, ნაკადული — არდადეგები, გორკის სახელობის კულტურის სახლი — საგუშაგო მოუბმები, ოფიცერთა სახლი — 12 გაბრაზებული მამაკაცი, დიდუბე — 1943 წლის გრძელი ღამე, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — გზა დასავლეთისაკენ.



12 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ფიროსმანი (22-ე ამონ. მე-2 სპექტაკლი), გრიბოედოვის სახელობის — წესგარეშე თამაში (მე-3 ამონ. მე-6 სპექტაკლი), სანკულტურის — სიყვარულის მსხვერპლი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — გლახის ნაამბობი (ამონ. № 50, 6. ს).



12 თებერვალი

12